საქართველოს მთავრობის

დადგენილება №4

2013 წლის 11 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 17/09/2012, სარეგისტრაციო კოდი 010240010.10.003.017063) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლობას ყველა ინსტანციის სასამართლოში;“.

2. მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად უფლებამოსილია შექმნას სათათბირო ორგანოები (კომისიები/კომიტეტები) და განსაზღვროს მათი უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი;“.

3. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ" ქვეპუნქტი:

„ზ) ანალიტიკური დეპარტამენტი.“.

4. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააგენტოს აქვს სტრუქტურული ერთეულები –მომსახურების ცენტრები, რომლებიც იქმნება და რომელთა ტიპური დებულებაც მტკიცდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით. სააგენტოს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მოახდინოს უფლებამოსილებების დელეგირება მომსახურების ცენტრებზე.“.

5. ამოღებულ იქნეს მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტები.

6. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) წარმოადგენს სააგენტოს ყველა ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასთან, სარგებლობაში გადაცემასთან, ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციასთან, სახელ-მწიფო ქონებასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურებასთან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებთან ან/და სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებულ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებშიც სააგენტო წარმოადგენს მხარეს ან მესამე პირს;“.

7. მე-12 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 მუხლი:

„მუხლი 12^1. ანალიტიკური დეპარტამენტი

ანალიტიკური დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სააგენტოს მართვაში არსებული საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების ანალიზი;

ბ) საწარმოების ბიზნესგეგმის პროექტების ფინანსური დამუშავების მიზნით მეთოდოლოგიური რეკომენდაციებისა და მასალების მომზადება, ამ საფუძველზე შემუშავებული და სააგენტოში წარმოდგენილი ბიზნესგეგმის პროექტების ფინანსური ანალიზი და მათი დამტკიცების მიზნით შესაბამისი წინადადებების/დასკვნის მომზადება;

გ) საწარმოების მოგების განაწილების თაობაზე რეკომენდაციების მომზადება;

დ) საწარმოთა მოგების განაწილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია;

ე) საჭიროების შემთხვევაში, საწარმოების კაპიტალის დაგეგმილი ცვლილების ფინანსური ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ვ) საწარმოსათვის დამტკიცებული ბიზნესგეგმის შესრულების მიმდინარეობის ფინანსური მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; საწარმოთა ბიზნესგეგმების შესრულების წლიური ფინანსური შედეგების თაობაზე ინფორმაციის მომზადება და შესაბამის წინადადებებთან ერთად სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

ზ) საწარმოების ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების ჩატარების თაობაზე წინადადებების მომზადება და სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

თ) საწარმოების მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადების განხილვა და სათანადო ფინანსური ანალიზის საფუძველზე სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის კონკრეტული წინადადებების/დასკვნების წარდგენა;

ი) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის შესახებ შემოსული წინადადებების განხილვა და სათანადო ანალიზის საფუძველზე შესაბამისი წინადადების მომზადება;

კ) საპრივატიზებო ობიექტების თაობაზე საინვესტიციო პროექტების მომზადება და საპრივატიზებო ობიექტების საინვესტიციო ღირებულების განსაზღვრა;

ლ) შემოთავაზებული საინვესტიციო პროექტების და/ან საპრივატიზებო პირობების ფინანსური ანალიზი;

მ) ქვეყანაში ჩამოყალიბებული ბიზნესგარემოს ანალიზიდან გამომდინარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების ფინანსური ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების/წინადადებების მომზადება;

ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საწარმოთა ფინანსური ანალიზის საფუძველზე საწარმოების პრივატიზების, რეორგანიზაციის, რეაბილიტაციის, ლიკვიდაციის შესახებ წინადადებების/დასკვნების მომზადება;

ო) მონაწილეობა საპრივატიზებო ობიექტების ყოველწლიური ნუსხის შედგენაში, სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მისაღები ყოველწლიური სავარაუდო შემოსავლების მოცულობის დადგენასა და სააგენტოს შემოსავლების პროგნოზირებაში;

პ) დეპარტამენტში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**